

ნეოგრეცისტია საქართველოში

პრობლემები და პერსპექტივები



საქართველოს ნეოგრეცისტთა ასოციაციის
კონფერენციის მასალები

თბილისი 2007

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის
ინსტიტუტი

●
პროგრამა «ლოგოსი»

პუბლიკაციები და ღონისძიებები კლასიკური ფილოლოგიის,
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროში

Κρατικό Πανεπιστήμιο Τιφλίδας Ιβάνε Τζαβαχισβίλι
Ινστιτούτο Κλασικών, Βυζαντινών και Νεοελληνικών Σπουδών

●
ΠΡΟΓΡΑΜΜΑ "ΛΟΓΟΣ"

Επιστημονικές εκδόσεις και εκδηλώσεις στον τομέα Κλασικών, Βυζαντινών και
Νεοελληνικών Σπουδών

თბილისი
Τιφλίδα
2007

წიგნი გამოიცა იოანის ფ. კოსტოპულოსის
ფონდის თანადგომით

Η παρούσα έκδοση έγινε με τη συμβολή
του Ιδρύματος Ιωάννου Φ. Κωστόπουλου

Πρακτικά του Συνεδρίου
της Εταιρείας Νεοελληνιστών της Γεωργίας

Τιφλίδα, 18-19 Μαΐου 2007

Οι Νεοελληνικές Σπουδές στη Γεωργία

Προβλήματα και Προοπτικές

საქართველოს ნეოგრეცისტთა ასოციაციის
კონფერენციის მასალები

თბილისი, 2007 წლის 18-19 მაისი

ნეოგრეცისტთა საქართველოში

პრობლემები და პერსპექტივები

რედაქტორები: ანი ჩიქოვანი
მაია კაკაშვილი
სვეტლანა ბერიკაშვილი

Επιμέλεια: Άνι Τσικοβάνι
Μάγια Κακασβίλι
Σβετλάνα Μπερικασβίλι

© პროგრამა „ლოგოსი“, 2007

ISBN 978-9941-401-14-5

პროგრამა „ლოგოსი“
ილია ჭავჭავაძის გამზირი 13,
თბილისი 0179
ტელ.: 25-02-58, ფაქსი 22-11-81
ელფოსტა: greekstudies@caucasus.net

სარჩევნო

ΠΕΡΙΕΧΟΜΕΝΑ

Άνι Τσικοβάνι

ΠΑΡΟΥΣΙΑΣΗ ΤΩΝ ΑΠΟΤΕΛΕΣΜΑΤΩΝ ΤΟΥ ΠΡΟΓΡΑΜΜΑΤΟΣ: ΣΕΙΡΑ ΜΑΘΗΜΑΤΩΝ ΤΗΣ ΠΡΟΦΟΡΙΚΗΣ, ΤΑΥΤΟΧΡΟΝΗΣ ΚΑΙ ΔΙΑΔΟΧΙΚΗΣ ΜΕΤΑΦΡΑΣΗΣ ΤΗΣ ΕΛΛΗΝΙΚΗΣ ΓΛΩΣΣΑΣ.....	11
---	----

ანი ჩიქოვანი

ბერძნული ენის სინქრონული თარგმანი (იურიდიული, ეკონομიკური და პოლიტიკური ტერმინოლოგია) – პროექტის პრეზენტაცია.....	14
---	----

Σβεtlάνα Μπερικασίμι

Η ΙΔΙΑΙΤΕΡΟΤΗΤΑ ΤΗΣ ΔΙΔΑΣΚΑΛΙΑΣ ΤΗΣ ΤΑΥΤΟΧΡΟΝΗΣ ΚΑΙ ΤΗΣ ΔΙΑΔΟΧΙΚΗΣ ΜΕΤΑΦΡΑΣΗΣ (ΑΠΟ ΤΗΝ ΕΛΛΗΝΙΚΗ ΣΕ ΓΕΩΡΓΙΑΝΗ ΓΛΩΣΣΑ).....	16
---	----

სვეტლანა ბერიკაშვილი

სინქრონული და თანმიმდევრული თარგმანის სწავლების სპეციფიკა (ბერძნულიდან ქართულად თარგმნის მაგალითზე).....	24
--	----

მედეა აბულაშვილი

მხატვრული თარგმანის მეთოდოლოგიური პრობლემები.....	26
---	----

Μήθεια Αμπουλασίμι

Τα μεθοδολογικά προβλήματα της λογοτεχνικής μετάφρασης.....	31
---	----

ნინო ბადაშვილი

ოპტიკური-აკუსტიკური საშუალებების გამოყენება ბერძნული ენის სწავლებისას.....	33
--	----

Νίνο Μπαντασίμι

Χρήση οπτικοακουστικού υλικού στη διδασκαλία της ελληνικής γλώσσας.....	39
---	----

სვეტლანა ბერიკაშვილი

უცხო ენის სწავლების პრობლემატიკისათვის
(უპანასკნელი წლების ფსიქოლოგიური გამოკვლევების
გათვალისწინებით)..... 42

Σβεtlána Μπερικασβίλ

Περὶ των προβλημάτων της διδασκαλίας της ξένης γλώσσας (σε βάση των τελευταίων ψυχολογικών ερευνών)..... 49

მაია კაკაშვილი

ელემენტარული ფიგურების სერია ბერძნული ენისა და
კულტურის სწავლებისათვის 51

Μάγια Κაკασβίλ

Σειρά ηλεκτρονικών βιβλίων για τη διδασκαλία και εκμάθηση της ελληνικής γλώσσας και του ελληνικού πολιτισμού..... 55

Ευγενεία Κοτανίδη

ΠΑΙΧΝΙΔΙ ΩΣ ΜΕΘΟΔΟΣ ΔΙΔΑΣΚΑΛΙΑΣ..... 57

ევგენია კოტანიდი

თამაში – სწავლებლის ერთ-ერთი მეთოდი..... 60

Тамта Ломня

ΡΟΛΕΒΥΕ ΙΓΡΥ Ι ΖΑΔΑΝΙΑ ΗΑ ΥΡΟΚΑΗ ΓΡΕΧΕΣΚΟΓΟ
ΥΖΥΚΑ Β 5-Χ, 6-Χ ΚΛΑССΑΗ..... 61

Тáмта Λόμν

Та παιχνίδια ρόλων και ασκήσεις στο μάθημα ελληνικών για την 5^η και 6^η τάξη του δημοτικού σχολείου..... 67

მედეა მეტრეველი

ესუ კლასიკური ფილოლოგიის, გიზანტინისტიკისა და
ნეოგრიკისტიკის ინსტიტუტში ნეოგრიკისტიკის
მიმართულების თანამედროვე მდგომარეობა და
პრობლემები 68

Μήδεια Μετρεβέλι

Η σύγχρονη κατάσταση και τα προβλήματα στη διδασκαλία της ελληνικής γλώσσας και λογοτεχνίας στο Τμήμα Νεοελληνικών Σπουδών του Κρατικού Πανεπιστημίου Τιφλίδας 83

მარინა ორეხოვა

უცხო ენების სწავლების ახალი მეთოდები 85

Μαρίνα Ορέχοβα

Οι νέες μέθοδοι διδασκαλίας ξένων γλωσσών 89

მაკა ქამუშაძე

საქართველოს სკოლებში ახალი გერძულის სწავლების
დღევანდელი მდგომარეობა..... 91

Μάκα Καμουσάτζε

Η σημερινή κατάσταση διδασκαλίας ελληνικών στα σχολεία της
Γεωργίας..... 96

ანი ჩიქოვანი

ნომბრეცისტების პრობლემები და პერსპექტივები
საქართველოში..... 98

Άνι Τσικοβάνι

Προβλήματα και Προοπτικές των Νεοελληνικών Σπουδών
στη Γεωργία 104

ქეთევან ცინცაძე

გერძულ ცივილიზაციასთან ზინარება გერძული
ენის სწავლების საშუალებით..... 107

Κετςβάν Τσინτσაτζე

Μύηση με τον ελληνικό πολιτισμό μέσω των μαθημάτων της
ελληνικής γλώσσας 111

ნათია წიკლაური

სიფლერის როლი გერძული ენის სწავლების
პროცესში 112

Νάτια Τσικλαούρι

Ο ρόλος του τραγουδιού στη διαδικασία διδασκαλίας της ελληνικής
γλώσσας 114

თეა ჭილაძე

ენის სწავლება პოეზიის საშუალებით..... 119

Τέα Τσιγλάτζε

Η ποίηση στη διδασκαλία της νεοελληνικής γλώσσας..... 120

სვეტლანა ბერიკაშვილი

უცხო ენის სწავლების პროგნოზისათვის (უკანასკნელი წლების ფსიქოლოგიური გამოკვლევების ბათვალისწინებით)

უცხო ენის სწავლებისათვის უამრავი მეთოდი გამოიყენება. მათ შორისაა ისეთი მეთოდები, როგორცაა გრამატიკულ-მთარგმნელობითი, აუდიო-ლინგვისტური (რომელსაც სხვაგვარად ოპტიკო-აკუსტიკურსაც უწოდებენ), საკომუნიკაციო ენის სწავლების, ენობრივ გარემოში მოხვედრის, უშუალო პრაქტიკის, სწავლების საშუალებით სწავლის, ეკლექტური და სხვა მეთოდები. გარდა ამისა, ბოლო ხანს ზემოთ ჩამოთვლილს დამატა ე. წ. მინიმალისტური მეთოდი, რომელიც უშუალოდ ორი ფაზისაგან შედგება: 1) ტექსტის გამარტივება და ადაპტირებული ვარიანტით შესწავლა; 2) ინტერაქტიული საშუალებების გამოყენება, ძირითადად კომპიუტერის მეშვეობით. აქ შედის სპეციალური კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც ჩვეულებრივ, მოცემულია ინტერნეტ გვერდების სახით, სადაც შეიძლება შედიოდეს: 1) ლექტორის მიერ შევსებული და წარმოდგენილი მასალის ნიმუშები; 2) სადისკუსიო ფორუმები; 3) სპეციალიზირებული ჩატები; 4) ტესტები; 5) მინიტესტები სხვადასხვა სავარჯიშოთი (მაგ.: ასარჩევად რამდენიმე პასუხია წარმოდგენილი, მოცემულ პასუხში უნდა ჩაინეროს სწორია თუ არა, შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ერთსიტყვიანი პასუხები. სისტემას შეუძლია შეამოწმოს სტუდენტის წინსვლა, რომლის გაკონტროლებას შეძლებს როგორც ლექტორი, ასევე თავად სტუდენტიც. ამიტომ, ეს მეთოდი საკმაოდ კარგია ენის დამოუკიდებლად შესასწავლად.

არ შევჩერდებით თითოეული მეთოდის ვრცელ გარჩევაზე, მხოლოდ მოკლედ წარმოვადგენთ მათ დამახასიათებელ ნიშნებს.

1) გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდის საშუალებით სტუდენტებს ასწავლიან, ძირითადად, გრამატიკულ წესებს, ხოლო ლექსიკური მასალის შესწავლა ხდება ტექსტების კითხვითა და თარგმნით. ეს მეთოდი საკმაოდ გავრცელებული იყო მე-19 საუკუნეში, დღესდღეობით ის უკვე მოძველებულადაა მიჩნეული და ლექტორების უმრავლესობა მას არაეფექტურად მიიჩნევს. ამ მეთოდის გამოყენება მართებულია მხოლოდ მკვდარი ენების, მაგალითად, ლათინურის შესწავლის დროს.

2) აუდიო-ლინგვისტური მეთოდი ითვალისწინებს აუდიო ჩანაწერების მოსმენასა და/ან ვიდეო მასალის საშუალებით სხვადასხვა ენობრივი სიტუაციების ნახვას. მიუხედავად ამ მეთოდის საკმაოდ პოპულარული ხასიათისა, ამჟამად ის ასევე არაეფექტურადაა მიჩნეული.

3) სხვა საკმაოდ ცნობილი მეთოდებია საკომუნიკაციო ენის სწავლება და ენობრივ გარემოში მოხვედრა. საკომუნიკაციო ენის სწავლება დღესდღეობით ენის სწავლების ყველაზე პოპულარული სახეა, განსაკუთრებით ევროპაში. ენობრივ გარემოში მოხვედრა კი, მიუხედავად იმისა, თუ რა დონეზე ფლობს სტუდენტი ენას, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს უცხო ენის სწრაფ შესწავლას, თუმცა, ძალიან ხშირია ამ შემთხვევაში, ენობრივ ნორმებთან შეუსაბამო შესწავლა და დამახსოვრება.

4) უშუალო პრაქტიკის მეთოდი გულისხმობს არსებული ფრაზების გამეორებით ენის შესწავლას. ეს მეთოდი განსაკუთრებული პოპულარობით ამერიკის შეერთებულ შტატებში სარგებლობს. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში საკმაოდ სწორად ხდება ამა თუ იმ ენაში არსებული ლექსიკური მასალის ათვისება, სტუდენტს, როგორც წესი, უჭირს უცხო ენაზე თავისი აზრის ჩამოყალიბება.

5) რაც შეეხება სწავლას სწავლების საშუალებით, ეს მეთოდი ყველაზე მეტად გავრცელებულია გერმანიაში. აქ სტუდენტები იღებენ ლექტორების ფუნქციას და თვითონ ასწავლიან თანაჯგუფელებს.


6) ეკლექტური მეთოდი კი დამოკიდებულია ლექტორის არჩევანზე, რომელსაც შეუძლია ყველა ზემოჩამოთვლილი მეთოდიდან აირჩიოს, მისი აზრით, ყველაზე შესაფერისი და კომპლექსურად სვადასხვა მეთოდის გაერთიანებით ასწავლოს სტუდენტს უცხო ენა.

ამ მხრივ, ყველაზე მიზანშეწონილად, რა თქმა უნდა, ბოლო, ეკლექტური მეთოდი უნდა ჩაითვალოს. ამ შემთხვევაში ლექტორს ეძლევა საშუალება თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს მეთოდთა რა ერთიანობაა საჭირო საუკეთესო შედეგების მისაღწევად. გრამატიკული ცოდნა, ტექსტების წაკითხვა და თარგმნა, ვარჯიში საკომუნიკაციო ენის შესასწავლად, ინტერაქტიული თუ ოპტიკო-აკუსტიკური საშუალებების გამოყენება მხოლოდ საფუძველია, აუცილებელი საბაზისო ენის შესასწავლად. ამის შემდგომ უნდა მოხდეს სტუდენტის ჩართვა ენობრივ გარემოში და ა.შ.

ნებისმიერი ამ მეთოდის ეფექტურობისათვის კი საჭიროა, სტუდენტი კარგად ითვისებდეს, იმახსოვრებდეს შემოთავაზებულ მასალას. ათვისების

გასამარტივებლად შეიძლება ფსიქოლოგიაში არსებული ე.წ. "Mind Mapping"-ის მეთოდის გამოყენება. ამ მეთოდის ავტორია კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ტონი ბიუზენი. მისი ხელშეწყობით ეს მეთოდი მეტად პოპულარული გახდა მთელ მსოფლიოში და დღესდღეობით იგი ფართოდაა გავრცელებული ბიზნესისა და განათლების სხვადასხვა სფეროში, თუმცა არავის უცდია მისი გამოყენება უცხო ენის სწავლებისას. რა არის "Mind Mapping"-ი? ეს არის უნიკალური სისტემა, რომელიც ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროს შეიძლება მივუსადაგოთ, მათ შორის უცხო ენის სწავლებასაც.

1960 წელს, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა როჯერ სპერიმ, შემდგომში ნობელის პრემიის ლაურიატმა, გამოაქვეყნა თავისი გამოკვლევა ადამიანის ტვინის ორი ნახევარსფეროს ფუნქციონირების შესახებ. შემდეგ მისი მოსაზრება სხვა მეცნიერებმაც დაადასტურეს (მათ შორისაა: ორნსტაინი, ზენდელი, ბლოხი). მისი მთავარი კონცეფცია შემდგომში მდგომარეობს: ადამიანის ტვინის ორი ნახევარსფერო ინტელექტუალური აზროვნების ფუნქციებს ინაწილებს.



მარჯვენა ნახევარსფერო "პასუხისმგებელია" ისეთ ფუნქციებზე, როგორიცაა:

- სივრცული ორიენტაცია
- ე.წ. გეშტალტი, ერთიანი აღქმა
- სამგანზომილებიანი აღქმა
- წარმოსახვის უნარი
- ოცნებები
- რიტმი
- ფერი


მაშინ, როდესაც მარცხენა ნახევარსფერო "პასუხისმგებელია" ისეთ ფუნქციებზე, როგორიცაა:

- თანმიმდევრული ოპერაციები
- ხაზოვანი წარმოდგენები
- ოპერაციები ჩამონათვალებით
- ოპერაციები რიცხვებით
- ანალიზი
- ლოგიკა
- მეტყველება¹

ძიუხედავად იმისა, რომ თითოეული ნახევარსფერო თავის ფუნქციებში დომინანტურად შეიძლება ჩაითვალოს, ორივე ნახევარსფეროს, პრინციპში, შეუძლია ნებისმიერი ტიპის ინტელექტუალური მოქმედების უზრუნველყოფა. ფსიქოლოგიური გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ადამიანთა უმრავლესობას ვიზუალური აღქმა უკეთ აქვს განვითარებული. შესაბამისად "Mind Mapping"-ის მეთოდი ითვალისწინებს ამ თვისებას და ხაზოვანი წარმოდგენის ნაცვლად გვთავაზობს ცენტრალიზებულ ნახატს. ამ ნახატის დამახსოვრება უფრო ადვილია, ვინაიდან ის ითვალისწინებს ორივე, როგორც მარცხენა, ასევე მარჯვენა ნახევარსფეროთა ფუნქციებს. ადამიანის ტვინი ისეა მოწყობილი, რომ იგი უკეთ ითვისებს ქსელის სახით წარმოდგენილ ამა თუ იმ ინფორმაციას. ვინაიდან, ტვინში ნეირონების მოქმედება და ურთიერთდაკავშირება ქსელის სახითაა წარმოდგენილი.

"Mind Map"-ი დიაგრამის სახით წარმოდგენილი ე. წ. ინტელექტუალური რუკაა, რომლის შედგენა შემდეგი წესის მიხედვით ხდება: ცენტრში ვათავსებთ მთავარ საკითხს, რომელიც შეიძლება იყოს წარმოდგენილი სიტყვით, ნახატით ან ფრაზით. შემდეგ ამ საკითხს, ხაზების ან ისრების მეშვეობით ვუერთებთ სხვა საკითხებს, რომელიც ამ საკითხთანაა დაკავშირებული, ან რომელზეც გვსურს შემდეგში საუბარი.

¹ Бьюзен Т., Бьюзен Б., Супермышление, перевод с английского Самсонова Е. А., Поппури, Минск 2003, 31-32.



ამ სახით წარმოდგენილი ნებისმიერი საკითხის დამახსოვრება უფრო ადვილია, ვინაიდან ის დაფუძნებულია ასოციაციურ და ვიზუალურ ალქმაზე. ფსიქოლოგიური გამოკვლევების შედეგად დადგენილია, რომ სწავლების პროცესში ადამიანის ტვინი ყველაზე კარგად იმახსოვრებს შემდეგ საკითხებს:


- სასწავლო პროცესის დასაწყისში მიღებულ ცოდნას (ე. წ. პირველადი ალქმის ეფექტი);
- სასწავლო პროცესის ბოლოს მიღებულ ცოდნას (ე. წ. უახლესი ალქმის ეფექტი);
- ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც ასოციაციის სახით უკავშირდება შესასწავლ საგანს;
- ნებისმიერ ინფორმაციას, რომელზეც აქცენტი გაკეთდა, როგორც ძალზედ მნიშვნელოვან და უნიკალურ ინფორმაციაზე;
- ნებისმიერ ინფორმაციას, რომლის ალქმა გამძაფრებული იყო გრძნობის ერთ-ერთი ორგანოს მიერ;

დღესდღეობით არსებობს უამრავი კომპიუტერული პროგრამა, რომლის საშუალებითაც შეიძლება მაღალი დონის სხვადასხვა სახის "Mind Map"-ების შედგენა. ერთ-ერთ ასეთ პროგრამას წარმოადგენს ტონი ბიუზენის მიერ შემოთავაზებული სისტემა *I Mind Map*, რომლის საშუალებით შეიძლება ნებისმიერი სახის ინტელექტუალური რუკის გაკეთება.² აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ "Mind Map"-ების შედგენა იმდენად პოპულარული გახდა, რომ ბოლო წლებში Microsoft Office-ის ძირითად პროგრამებში შეიტანეს გრაფიკებისა და დიაგრამების შედგენის ახალი პროგრამა *Microsoft Visio*, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის ინტელექტუალური რუკის გაკეთებას.

ფაქტიურად, "Mind Map"-ი ადამიანის ფიქრების სურათს წარმოადგენს. უამრავი ლექტორი, სწავლების პროცესში, იყენებს ვიზუალურ მასალას, რადგანაც ის უფრო ეფექტურია და უკეთ ამახსოვრდებათ სტუდენტებს. უმჯობესი იქნებოდა ვიზუალური მასალის ნაცვლად ინტელექტუალური რუკების გამოყენება, ვინაიდან ადამიანის ტვინი უფრო კარგად ითვისებს ამ სახით წარმოდგენილ ინფორმაციას. რა თქმა უნდა, "Mind Map"-ების შექმნა ინდივიდუალური პროცესია, და თითოეულმა სტუდენტმა შესაბამისად ინდივიდუალურად უნდა შექმნას ინტელექტუალური რუკები. თუმცა მეთოდი, რომლითაც უნდა შეიქმნას ესა თუ ის რუკა მაინც ერთია: ცენტრალური იდეა, რომელსაც სხვა საკითხები უკავშირდება.

ბერძნული ენისა თუ ლიტერატურის სწავლების პროცესში თავისუფლად შეიძლება "Mind Map"-ების გამოყენება ამა თუ იმ საკითხის უკეთ დასამახსოვრებლად. მაგალითისთვის ერთ "Mind Map"-ს მოვიყვანთ, რომელშიც ახალი ბერძნული გრამატიკის მნიშვნელოვანი საკითხი – ზმნის კატეგორიებია წარმოდგენილი.

² პროგრამის შესახებ დანვრილებითი ინფორმაცია იხ. საიტზე <http://www.buzanworld.com>. ამავე საიტიდან შეგიძლიათ შეიძინოთ აღნიშნული პროგრამის ლიცენზირებული ვერსია.



შეაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ "Mind Map"-ების ჩართვა სწავლების პროცესში მიზანშეწონილი იქნებოდა. თუმცა, რამდენად გაამართლებს ეს მეთოდი, ეს დროის საკითხია.

Σβελάνα Μπερικασβίλι

ΠΕΡΙ ΤΩΝ ΠΡΟΒΛΗΜΑΤΩΝ ΤΗΣ ΔΙΔΑΣΚΑΛΙΑΣ ΤΗΣ ΞΕΝΗΣ ΓΛΩΣΣΑΣ (ΣΕ ΒΑΣΗ ΤΩΝ ΤΕΛΕΥΤΑΙΩΝ ΨΥΧΟΛΟΓΙΚΩΝ ΕΡΕΥΝΩΝ)

Στη διδασκαλία της ξένης γλώσσας χρησιμοποιούνται πολλές μέθοδοι, κυρίως: η γραμματική, η μεταφραστική, η οπτικοακουστική, η διδασκαλία με άμεση επικοινωνία, η μάθηση μέσω διδασκαλίας, η εκλεκτική μέθοδος καθώς και η ονομαζόμενη μινιμαλιστική μέθοδος που αποτελείται από δύο φάσεις: 1) η διδασκαλία με διασκευή λογοτεχνικών έργων και 2) η χρησιμοποίηση διαδραστικών μέσων κατά τη διδασκαλία.

Για την αποτελεσματικότητα των προαναφερόμενων μεθόδων στη διδασκαλία μπορούμε να προσθέσουμε την αποδεκτή στην ψυχολογία *Mind Mapping* μέθοδο ("Νοητική χαρτογράφηση"). Η μέθοδος αυτή για πρώτη φορά προτάθηκε στις αρχές της δεκαετίας 1970 από τον διδάκτορα της ψυχολογίας Tony Buzan. Με την βοήθειά του η μέθοδος αυτή έγινε αποδεκτή σε πολλές χώρες σε διάφορους τομείς της ανθρώπινης δραστηριότητας, τόσο στον τομέα της επιχείρησης όσο και στο εκπαιδευτικό σύστημα. Αλλά κανείς δεν την έχει χρησιμοποιήσει ακόμα στη διδασκαλία της ξένης γλώσσας.

Mind Map είναι ο νοητικός χάρτης μέσω του οποίου είναι πιο εύκολη η συγκράτηση στη μνήμη διάφορων δεδομένων, διότι η μέθοδος αυτή έχει ως βάση τη συνειρμική σκέψη του ανθρώπου. Όπως είναι γνωστό η επεξεργασία των πληροφοριών γίνεται από τις δύο πλευρές του εγκεφάλου. Σε γενικές γραμμές, η αριστερή παίζει κύριο ρόλο στην επεξεργασία της λογικής, των λέξεων, των μαθηματικών και της αλληλουχίας. Η δεξιά πλευρά του εγκεφάλου ασχολείται με τη μουσική, το ρυθμό, την ονειροπόληση και τη φαντασία. Ο εγκέφαλος αποθηκεύει τις πληροφορίες χρησιμοποιώντας με εξαιρετικό τρόπο τις διασυνδέσεις ή τους συνειρμούς. Με βάση τις τελευταίες ψυχολογικές έρευνες διαπιστώθηκε πως ο εγκέφαλος του ανθρώπου συγκρατεί στη μνήμη καλύτερα τις πληροφορίες που παρουσιάζονται σε μορφή εικόνας και δικτύου, διότι ο εγκέφαλός μας λειτουργεί μ' αυτό τον τρόπο. Επομένως θα είναι χρήσιμο για τον καθηγητή να χρησιμοποιήσει νοητικούς χάρτες κατά τη διδασκαλία.

Ως παράδειγμα στην ανακοίνωση παρουσιάζουμε *Mind Map* που μπορεί να χρησιμοποιήσει κανείς κατά τη διδασκαλία της νεοελληνικής γραμματικής. Κυρίως εδώ απεικονίζεται το ρήμα και έτσι ονομαζόμενα συνακόλουθά του: η διάθεση και η φωνή, η έγκλιση, ο χρόνος και ο τρόπος, ο αριθμός και το πρόσωπο που πάντοτε παρουσιάζονται στους τύπους που σχηματίζει ένα ρήμα.